# Capacryl Haftprimer

ადჰეზიური, წყალდისპერსიული საგრუნტავი მასალა - აკრილის ბაზაზე.
გარე და შიდა სივრცეებში გამოსაყენებლად.

## მასალის აღწერა

**გამოყენების სფეროები**

გამოიყენება როგორც ადჰეზიური საგრუნტავი საფარი, ძველი საღებავით ან ლაქით დაფარული, ხის, თუთიის, მყარი პოლივინილქროლიდის, ალუმინის, სპილენძის და სხვა მრავალი კრიტიკული ზედაპირისთვის, აკრილის და ალკიდური ფისის ლაქებით შემდგომ დაფარვამდე (არ გამოიყენოთ ალკიდური ფისის ლაქები მოთუთიებულ ზედაპირზე).

**თვისებები**

- წყალდისპერსიული
- გარემოსათვის უსაფრთხო
- სწრაფად შრობადი
- შესანიშნავი ადჰეზია მრავალ ზედაპირზე
- დიფუზის უნარით
- გამოდგება საბავშვო სათამაშოებისთვის, DIN EN 71-3 სტანდარტის შესაბამისად

**მასალის შემკვრელი**

აკრილის დისპერსია

**შეფუთვა**

- **375 მლ:** თეთრი, მოწითალო-ყავისფერი, მწვანე რეზედა RAL 6011
- **750 მლ და 2.5 ლ:** თეთრი, მოწითალო-ყავისფერი, კაკლისფერი-ყავისფერი RAL 8011, მწვანე რეზედა RAL 6011, მოვერცხლიდფრო ნაცრისფერი RAL 7001, შავი RAL 9005
- **10 ლ:** თეთრი, მოწითალო-ყავისფერი, მწვანე რეზედა RAL 6011

**ფერი**

თეთრი, მოწითალო-ყავისფერი, მწვანე რეზედა RAL 6011, მოვერცხლიდფრო ნაცრისფერი RAL 7001, კაკლისფერი-ყავისფერი RAL 8011, შავი RAL 9005.
დამატებით ColorExpress - ის სისტემის ფერთა კოლექციაში არსებულ სხვა ფერებში.
სუსტი დაფარვის მქონე ფერების (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) გამოყენებისას გირჩევთ ფერის შესაბამისი საგრუნტავი ფენის დატანას.
Capacryl Haftprimer-ის შეფერადება შესაძლებელია საგრუნტავი სისტემის ფერებში, ColorEx-press-ის შეფერადების ტექნიკით.

**სიპრიალის ხარისხი**

მქრქალი

**შენახვის პირობები**

შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ პირობებში.

**ტექნიკური პარამეტრები**

- სიმკვრივე: დაახლ. 1,5 გ/სმ$^3$

**გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია№ 606-ის მიხედვით.**

| ინტერიერი 1 | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი 1 | ექსტერიერი 2 |
|---|---|---|---|---|
| + | + | + | + | + |
| (–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი | | | | |




CAPAROL

# გამოყენება

**შესაფერისი ზედაპირები**

ხე, ხისგან ნაწარმოები მასალები, თუთია, ალუმინი, სპილენძი, მყარი პოლივინილქლორიდი, და მზიდუნარიანი ძველი დანაფარები. არ გამოდგება ანოდირებული ალუმინისთვის. ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა, მასზე არ უნდა იყოს ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებები. ზუსტი ზომის მქონე ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს, ხოლო ნაწილობრივ და უზუსტო ზომის მქონე ელემენტების 15%-ს.

**ზედაპირის მომზადება**

**ხის ელემენტები:** ხის ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ბასრი კანტები დაიშლიფოს.

**თუთია, მყარი პოლივინილქლორიდი:** გაიწმინდოს ამიაკის შემცველი საშუალებით და პლასტიკური აბრაზიული ფლისით.

**ალუმინი, სპილენძი:** დამუშავდეს ნიტრო გამხსნელით ან ფოსფორის მჟავით და გაიწმინდოს პლასტიკური აბრაზიული ფლისით.

**ძველი მზიდუნარიანი დანაფარები:** დაიშლიფოს და დამუშავდეს ტუტეთი. არამზიდუნარიანი საფარი მოშორდეს.

**დატანის მეთოდი**

**საჰაერო მიფრქვევის წესები**

| | Ø დიამეტრი | წნევა | გამხსნელი |
|---|---|---|---|
| უჰაერო (Airless) | 0,011–0,015 ინჩი | 100-130 ბარ | მაქს. 5% |

Capacryl Haftprimer-ი შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, გორგოლაჭით და საჰაერო მიფრქვევით. Capacryl Haftprimer-ის გამოყენება შესაძლებელიაქარხნული კონსისტენციით. კარგად ამოურიეთ გამოყენებამდე და საჭიროების შემთხვევაში გაათხელეთ მაქს 5% წყლით.

**დაფარვის თანმიმდევრობა**

| ზედაპირი | გამოყენების არე | ზედაპირის მომზადება | გაჟღენთვა | გრუნტი | შუალედური ფენა | საბოლოო ფენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნაწილობრივ ზუსტი და უზუსტო ზომის ხის ელემენტები | ექსტერიერი | BFS Nr. 18 | Capacryl Holzschutz-Grund | Capacryl Haftprimer ან Capacryl Holz-Iso-Grund[1] | Capadur Wetterschutzfarbe NQG | Capadur Wetterschutz-farbe NQG[3] |
| ხის ელემენტები | ინტერიერი | გაიშლიფოს / გაიწმინდოს | - | Capacryl Haftprimer ან Capacryl Holz-Iso-Grund[1] | Capacryl PU-Vorlack ან Capacryl PU-Gloss/PU-Satin | Capacryl PU-Gloss/ PU-Satin[3] |
| ზუსტი ზომის ხის ელემენტები | ექსტერიერი | BFS Nr. 18 | Capacryl Holzschutz-Grund | Capacryl Haftprimer ან Capacryl Holz-Iso-Grund[1] | Capacryl PU-Vorlack* ან Capacryl PU-Gloss/PU-Satin | |
| თუთია | ინტერიერი | BFS Nr. 5 | - | Capacryl Haftprimer | საჭიროების შემთხვევაში Capacryl PU-Vorlack ან Capacryl PU-Gloss/PU-Satin | |
| ალუმინი / სპილენძი | ინტერიერი / ექსტერიერი | BFS Nr. 6 | - | Capacryl Haftprimer | | |
| მყარი PVC | ინტერიერი / ექსტერიერი | BFS Nr. 22 | - | Capacryl Haftprimer | | |
| ძველი მზიდი დანაფარი | ინტერიერი / ექსტერიერი | გაიშლიფოს / დამუშავდეს ტუტეთი | - [2] | Capacryl Haftprimer [2] | | |

*) ზუსტი ზომის მქონე ხის ელემენტებზე საჭიროა ორი ფენა შუალედური ფენის დატანა, BFS-Merkblatt Nr. 18-ის შესაბამისად.
1) წყალში ხსნადი ნივთიერებების შემცველ ხის ჯიშებზე ყოველთვის გამოიყენეთ Capacryl Holz-IsoGrund-ი.
კოჟრების ადგილები დაამუშავეთ 2-ჯერ.
2) დაზიანებული ადგილები დაამუშავეთ არსებული ზედაპირის შესაბამისად.
3) სუსტი დაფარვის მქონე ფერების (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) გამოყენებისას შესაძლებელია საჭირო გახდეს განმეორებითი ფენის დატანა.

მითითება: ფხვნილოვან ან Coil-Coating-საფარზე მოახდინეთ საცდელი დატანა ადჰეზიის შესამოწმებლად.

**ხარჯი**

დაახლ. 100 - 130 მლ/მ$^2$/ერთ ფენაზე

ზ.ა. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

**გამოყენების პირობები**

**მასალის, ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა:**

არანაკლებ +8 °C.

**შრობის დრო**

| 20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში | მტვერის მიმართ მედეგი | შეხებით მშრალი | მომდევნო ფენის დატანისთვის მზად | |
|---|---|---|---|---|
| | | | აკრილის ლაქით | ალკიდური ფისის ლაქით |
| საათები | 1-2 | 10-12 | 12-16 | 48 |

უფრო დაბალი ტემპერატურის, მაღალი ტენიანობის და სქლად დატანის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.

**ხელსაწყოები**

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით.

## მითითებები

**უსაფრთხოების ნორმები**

მოარიდეთ ბავშვებს! შეიცავს 1,2-ბენზისოთიაზოლ-3(2H)-ონ, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი". გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.

**უტილიზაცია**

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. პროდუქტის თხევადი ნარჩენები ჩააბარეთ ძველი ლაქების ჩამბარებელ პუნქტში, ხოლო მყარი ნარჩენები ჩააბარეთ როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.

**VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)**

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/i): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 90 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

**პროდუქტის კოდი**

M-LW01 (Germany)

**შემადგენლობა**

აკრილის პოლიმერების ფისი, ტიტანის დიოქსიდი, პიგმენტები, სილიკატები, კალციუმის კარბონატი, წყალი, გლიკოლი, გლიკოლეთერი, დანამატები, კონსერვანტები (Methylisothi-azolinon, Benzisothiazolinon).

**ტექნიკური კონსულტაცია**

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს. კაპაროლ ჯორჯია**
ალ.ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge